

შპს „მილენიუმი „

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები	6
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
შენიშვნა N5. ძირითადი საშუალებები	13
შენიშვნა N6 არამატერიალური აქტივები	14
შენიშვნა N8. მარაგები	15
შენიშვნა N9. გაცემული ავანსები	15
შენიშვნა N10. წინასწარ გადახდილი გადასახადები	16
შენიშვნა N11. მიღებული გრძელვადიანი სესხები	16
შენიშვნა N12. მიღებული ავანსები	16
შენიშვნა N13. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17
შენიშვნა N14. ამონაგები	17
შენიშვნა N15. თვითღირებულება	17
შენიშვნა N16. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	18
შენიშვნა N17. სხვა ხარჯები	18
შენიშვნა N18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	18
შენიშვნა N19. ფინანსური ხარჯები	19
20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	19
21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	21
22. პირობითი ვალდებულება	21
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	21

შპს "მილენიუმი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023	2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	5,176	8,908	629,044
არამატერიალური აქტივები	6	-	240	541
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,176	9,148	629,585
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	1,015,189	1,277,513	767,057
მარაგები	8	515,069	734,054	2,061,395
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10	3,267	-	77,939
გაცემული ავანსები	9	1,135	1,341	162,530
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,534,660	2,012,908	3,068,922
სულ აქტივები		1,539,836	2,022,056	3,698,507
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	1,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,520,500	1,883,267	1,108,683
სულ კაპიტალი		1,520,500	1,883,267	1,109,683
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	-	-	1,309,620
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	1,309,620
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	12	-	47,783	694,845
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	19,336	91,006.17	584,358
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,336	138,789	1,279,203
სულ ვალდებულებები		19,336	138,789	2,588,823
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,539,836	2,022,056	3,698,507

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "მილენიუმი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023	2022
ამონაგები	14	147,724	3,865,948	7,564,477
თვითღირებულება	15	(241,709)	(2,968,106)	(5,387,220)
საერთო მოგება		(93,985)	897,842	2,177,257
სხვა შემოსავლები		-	-	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	-	-
ძირითადი საშუალების თვითღირებულება		-	-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(47,254)	(126,646)	(123,652)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		-	-	-
სხვა ხარჯები	16	(1,209)	(1,209)	(1,262)
საოპერაციო მოგება		(142,448)	769,987	2,052,343
ფინანსური შემოსავალი		-	-	-
ფინანსური ხარჯი	19	-	-	(133,136)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		42,117.79	4,596.33	(144,212)
მოგება დაბეგვრამდე		(100,330)	774,583	1,774,996
მოგების გადასახადი		-	-	-
წმინდა მოგება		(100,330)	774,583	1,774,996
სხვა სრული შემოსავალი:				
გადაფასების რეზერვი				
მთლიანი სრული შემოსავალი		(100,329.71)	774,583.39	1,774,995.50

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "მილენიუმი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(665,312)
წმინდა მოგება	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	1,774,996	1,774,996
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	1,109,683
წმინდა მოგება	-	-	774,583	774,583
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,000)			(1,000)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	1,883,267
წმინდა მოგება	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(100,329.71)	(100,330)
გაცემული დივიდენდი	-	-	(262,437)	(262,437)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	1,520,500

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მილენიუმი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 24 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით **400265208**, სარეგისტრაციო ნომერი **B19047362**. კომპანიის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ბარისაზოს ქუჩა N 12, ხოლო ფაქტური მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა N20.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია - ლევან პაპაშვილი (პ/ნ 01004001829) 100 ერთეული განთავსებული. კომპანიას ხელმძღვანელობს და წარმოადგენს - ლევან პაპაშვილი (პ/ნ 01004001829).

2. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს : ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2024 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას, შესადარისი ინფორმაციით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების პაკეტი შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მითითებებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოსა და დარიცხვის მეთოდის პრინციპის დაშვებით. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, რომელიც ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი (ლარი). უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

რიცხოვრივი მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავება არ არის განცხადებული.

მეფასების და წარდგენის ვალუტა

ა) კომპანია ოპერაციების აღსარიცხავად იყენებს ქართულ ლარს. შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ლარში.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ბ) ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღისათვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	აშშ დოლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება - არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაცივალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება - არის აქტივის შეძენის ან შექმნის ღრის გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის –

ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებითი დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებს მოგებაშია ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

აღნიშნული აქტივები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ფინანსური ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივი, რომლებიც დაუბრკოლებლად იცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. ხოლო 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასება ხდება ანგარიშგების შედგენის თარიღით. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსა ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებებში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზირებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც : ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებუ კონტროლს. კონტოლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარი გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხები, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულების, განტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ხოლო შემდგომ ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულებების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად ან ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდე ანაზრაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგეილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის გაიწევა.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციოდ (ჩვეულებრივ) იჯარად.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

• თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად, მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლებს/ზარალების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

• ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუალო მდგომარეობასი მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. მიწას ცვეთა არ ერიცხება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	25-30 წელი
მანქანა-დანადგარები	5-8 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერი ტექნიკა	3-6 წელი
სამშენებლო ინვენტარი	1-5 წელი

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საადრიცხო პროგრამა (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ მარაგები აღიარდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან, მაგალითად ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო მასალებს. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

წარმოების პროცესში სასაქონლო მატერიალური მარაგები თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, სადაც ყოველთვიურად აკუმულირდება წარმოების ყველა ხარჯი. მაგალითად ცვეთა, იჯარა, შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნაღები ხარჯი.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება **საშუალო შეწონილი** მეთოდის მიხედვით.

დაბეგვრა

კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი. კომპანიის მიერ საგადასახადო ხარჯი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე ისეთი გადასახადებით, როგორცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, და ამასთანავე როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც საქონელი გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ხარჯები სრული შემოსავლის ანაგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ავტორიზაციის თარიღამდე მომხადი მოვლენები რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ. აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ფინანსურ ანგარიშგებაში პირობითი ვალდებულებები აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებით ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან მოსალოდნელი არ არის. ფინანსური ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი ეს არის ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება მაშინ როდესაც :

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში, სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასების სისწორის შემოწმება. საადრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა დებიტორების მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობა აღნიშნულის გათვალისწინებითა და წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას და ქმნის შესაბამისად ანარიცხებს. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

სასამართლოს დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. თუ რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება პირობითი ვალდებულება შეიძლება გაშიფრული იქნას ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა N5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022 წლის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
შესყიდვა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა		-	-	-	-		-
გაუფასურება							-
მიღა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	2,186,550.80						2,186,550.80
გადაფასების რეზერვი							-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	616,930.94	0	-	9,887	5,691	3,959.32	636,468.43
ცვეთის ხარჯი	-	-	-	3,662	1,976	1,786.46	7,424.80
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-			-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	3,662	1,976	1,786.46	7,424.80
საბალანსო ღირებულება	616,930.94	0	-	6,225	3,715	2,172.86	629,043.63
2022 წლის ბოლოს	616,930.94	0	-	6,225	3,715	2,172.86	629,043.63
2023 წლის მდგომარეობით		-	-	-	-	-	-
შესყიდვა	-	-	-	2,444	-	722.60	3,166.75
გასვლა		-	-	-	-		-
გაუფასურება							-
მიღა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	616,930.94						616,930.94
გადაფასების რეზერვი							-

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	0	-	8,669	3,715	2,895.46	15,279.44
ცვეთის ხარჯი	-	-	-	3,758	1,812	801.86	6,370.99
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-				-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	3,758	1,812	801.86	6,370.99
საბალანსო ღირებულება	-	0	-	4,911	1,904	2,093.60	8,908.45
2023 წლის ბოლოს	-	0	-	4,911	1,904	2,093.60	8,908.45
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	3,758	1,812	801.86	5,175.87
ცვეთის ხარჯი	-	-	-	1,810	1,121	802	3,732.58
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	1,810	1,121	802	3,732.58
საბალანსო ღირებულება	-	-	-	3,102	783	1,292	5,176
2024 წლის ბოლოს	-	-	-	3,102	783	1,292	5,175.87

შენიშვნა N6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

302

2022 წლის ბოლოს

302

-

-

პროგრამები

ლიცენზიები

სხვა

საბალანსო ღირებულება

2022 წლის ბოლოს

541

-

-

2023 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

302

2023 წლის ბოლოს

302

-

-

პროგრამები

ლიცენზიები

სხვა

საბალანსო ღირებულება

2023 წლის ბოლოს

240

-

-

2024 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

240

2024 წლის ბოლოს

240

-

-

პროგრამები

ლიცენზიები

სხვა

საბალანსო ღირებულება

2024 წლის ბოლოს

-

-

-

შენიშვნა N7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფული სალაროში	10.65	5	59
ფული საბანკო ანგარიშებზე	1015178.08	1,277,508	766,998
სულ	1,015,189	1,277,513	767,057

შენიშვნა N8. მარაგები

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ლარში	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
დაუმთავრებელი წარმოება		-	1,304,932
ნედლეული და მასალები	29541.99	38,452	133,237
მზა პროდუქცია	485526.85	695,603	623,227
სხვა მარაგები		-	-
სულ	515,069	734,054	2,061,395

შენიშვნა N9. გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები ეს არის მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები:

ლარში	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
წინასწარ გადახდილი ხელფასები		-	
მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	1135.09	1,341	162,530
სულ	1,135	1,341	162,530

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შენიშვნა N10. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადი არის თანხა რომელიც ასახულია ბიუჯეტში საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მიღების შედეგად ჩათვლილ დღგ-ს თანხას, ასევე ავანსად გადახდილი ქონების გადასახადის თანხას.

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,267	-	77,939
სულ	3,267	-	77,939

შენიშვნა N11. მიღებული გრძელვადიანი სესხები

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის დეკემბერსა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
გრძელვადიანი სესხები			1,309,620
სულ	-	-	1,309,620

მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 7 %-ს.

შენიშვნა N12. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მიღებული ავანსი	-	47,783	694,845
სულ	-	47,783	694,845

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შენიშვნა N13. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	17,816.52	15,995	9,614
გადასახელი ხელფასები	1,519.00	-	-
გადასახდელი პროცენტები		48,229	574,744
გადასახდელი საბიუჯეტო გადასახადები		26,782	-
სულ	19,336	91,006	584,358

შენიშვნა N14. ამონაგები

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბრის კომპნიის ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
საქონლის რეალიზაცია	-	-	-
მზა პროდუქციის რეალიზაცია	147,724	3,865,948	7,564,477
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	-	-
სულ	147,724	3,865,948	7,564,477

შენიშვნა N15. თვითღირებულება

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპნიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე გენერირებული ხარჯების ჯამი გაყიდული საქონლის პროპორციულად და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
საქონლის თვითღირებულება		-	-
მზა პროდუქციის თვითღირებულება	(241,708.61)	(2,968,105.94)	(5,387,220.23)
სულ	(241,709)	(2,968,106)	(5,387,220)

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შენიშვნა N16. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები კომპანიას არ გააჩნია.

შენიშვნა N17. სხვა ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ლარი	31/12/204	31/12/2023	31/12/2022
ქონების გადასახადი	1,208.95	1,208.95	1,261.58
	1,208.95	1,208.95	1,261.58

შენიშვნა N18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
შრომის ანაზღაურება	29,401	79,913.28	89,341.85
საპენსიო ხარჯი	588	2,557.87	2,199.16
სიცოცხლის დაზღვევის ხარჯი	-	188.00	
ცვეთა და ამორტიზაცია	3,972.13	6,672.52	7,726.35
ბანკის მომსახურება	495.12	694.23	860.39
იჯარის ხარჯი	6,000.00	12,000.00	11,084.76
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	6,798.06	26,707.69	11,873.22
კომუნიკაციის ხარჯი	-	52.54	566.50
სულ	47,253.85	128,786.13	123,652.23

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შენიშვნა N19. ფინანსური ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა ფინანსური ხარჯი, ხოლო წინა ორ შესადარის წელთან მიმართებით ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ბანკის სესხის პროცენტი			
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	-	-	133,135.64
სხვა ფინანსური ხარჯები	-	-	-
სულ	-	-	133,135.64

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მართვა შესაძლებელია რეგულარული მონიტორინგებით. კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიას საქმიანობის პროცესში შეიძლება წარმოემყვას შემდეგი სახის ფინანსური რისკები:

- ❖ საკრედიტო რისკი
- ❖ ლიკვიდურობის რისკი
- ❖ საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდის პირობებს შესთავაზებენ.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

2024 წელი

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	სულ
მიღებული სესხები	11	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	-	-	19,336
სულ ფინანსური ვალდებულებები		-	-	19,336
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,015,189	-	1,015,189
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		-	-	
გაცემული სესხები		-	-	
სულ ფინანსური აქტივები		1,015,189	-	1,015,189
დია სავალუტო პოზიცია		1,015,189	-	995,853

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან შესახებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან. კურსის ცვლილების შესაბამისად წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი.

21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ შესაბამისად დაკავშირებულ მხარეებს, ან ოპერაციებს და დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს :

ა) მხარე, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ : აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნები ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებული მხარის თითოეული ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურდიულ ფორმას.

კომპანიას 2024 წელს დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობა არ ჰქონია

22. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს. მას არ აქვს პირობითი აქტივები და ვალდებულებები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "მილენიუმი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023	2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	5,176	8,908	629,044
არამატერიალური აქტივები	6	-	240	541
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,176	9,148	629,585
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	1,015,189	1,277,513	767,057
მარაგები	8	515,069	734,054	2,061,395
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10	3,267	-	77,939
გაცემული ავანსები	9	1,135	1,341	162,530
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,534,660	2,012,908	3,068,922
სულ აქტივები		1,539,836	2,022,056	3,698,507
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	1,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,520,500	1,883,267	1,108,683
სულ კაპიტალი		1,520,500	1,883,267	1,109,683
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	-	-	1,309,620
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	1,309,620
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	12	-	47,783	694,845
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	19,336	91,006.17	584,358
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,336	138,789	1,279,203
სულ ვალდებულებები		19,336	138,789	2,588,823
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,539,836	2,022,056	3,698,507

დირექტორი : ლევან პაპაშვილი



6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "მილენიუმი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023	2022
ამონაგები	<u>14</u>	147,724	3,865,948	7,564,477
თვითღირებულება	<u>15</u>	(241,709)	(2,968,106)	(5,387,220)
საერთო მოგება		(93,985)	897,842	2,177,257
სხვა შემოსავლები		-	-	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	-	-
ძირითადი საშუალების თვითღირებულება		-	-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>17</u>	(47,254)	(126,646)	(123,652)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		-	-	-
სხვა ხარჯები	<u>16</u>	(1,209)	(1,209)	(1,262)
საოპერაციო მოგება		(142,448)	769,987	2,052,343
ფინანსური შემოსავალი				
ფინანსური ხარჯი	<u>19</u>	-	-	(133,136)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		42,117.79	4,596.33	(144,212)
მოგება დაბეგვრამდე		(100,330)	774,583	1,774,996
მოგების გადასახადი				-
წმინდა მოგება		(100,330)	774,583	1,774,996
სხვა სრული შემოსავალი:				
გადაფასების რეზერვი				
მთლიანი სრული შემოსავალი		(100,329.71)	774,583.39	1,774,995.50

დირექტორი : ლევან პაპაშვილი



6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "მილენიუმი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(665,312)
წმინდა მოგება	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	1,774,996	1,774,996
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	1,109,683
წმინდა მოგება	-	-	774,583	774,583
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,000)			(1,000)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	1,883,267
წმინდა მოგება	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(100,329.71)	(100,330)
გაცემული დივიდენდი	-	-	(262,437)	(262,437)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-			-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	1,520,500

დირექტორი : ლევან პაპაშვილი



6-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს